დანართი

დამტკიცებულია
შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის

2015 წლის 12 იანვრის №06-12 ბრძანებით

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება“

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დაწესებულების სამართლებრივი სტატუსი

1. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში - ბაგა-ბაღების გაერთიანება) არის მუნიციპალური სკოლამდელი საამღზრდელო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო კონტროლით, სკოლამდელი აღზრდა-განათლების კონცეფციის, საგანმანათლებლო პროგრამის და ამ წესდების შესაბამისად ახორციელებს საალმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობას;

2. „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და იგი შექმნილია კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბაგა-ბაღების ბაზაზე და მისი დამფუძნებელია შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

3. ბაგა-ბაღების გაერთიანება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით;

4. ბაგა-ბაღების გაერთიანება სარგებლობს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებებით;

5. ბაგა-ბაღების გაერთიანება კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

6. ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ბანკში, ბეჭედი, შტამპი და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები, ის ანგარიშსწორებას აწარმოებს სახაზინო ანგარიშიდან.

7. ბაგა-ბაღების გაერთიანების იურიდიული მისამართია: დაბა შუახევი რუსთაველის შესახვევი №5

მუხლი 2. დაწესებულების მიზანი, ფუნქციები და ამოცანები

1. ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური, ესთეტიკური და სოციალურ-ემოციური განვითარება;

2. ბავშვის მოვლა, გაჯანსაღება, ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისი ცოდნით უზრუნველყოფა;

3. ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარება;

4. საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების შეძენა.

თავი II. საგანმანათლებლო-საღმზრდელო პროცესის ორგანიზაცია

მუხლი 3. საგანმანათლებლო-საღმზრდელო პროცესი

1. დაწესებულების საგანმანათლებლო-საღმზრდელო პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი პროგრამის შესრულებას. დასაშვებია ალტერნატიული, ვარიანტული პროგრამებითა და შესაბამისი ტექნოლოგიებით სარგებლობა.

2. დაწესებულების საგანმანათლებლო-საღმზრდელო პროცესის ორგანიზაციის ფორმები აისახება შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით.

3. საგანმანათლებლო-საღმზრდელო პროცესის ძირითადი მონაწილეები არიან: ბავშვები – აღმზრდელები – მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები).

4. აღმზრდელებსა და ბავშვს შორის ურთიერთდამოკიდებულება აიგება თანამშრომლობის, ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მისთვის თავისუფალი განვითარების პირობების შექმნის საფუძველზე.

5. დაწესებულების შინაგანაწესით, გარდა დადგენილი წესისა, დაწვრილებით უნდა აისახოს დაწესებულებაში აღსაზრდელთა მიღებისა და მათი მოძრაობის პირობები, დღის რეჟიმი, კვების ჯერადობა, სტანდარტზევით და დამატებითი მომსახურეობისათვის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი.

6. დირექტორი ვალდებულია აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებამდე, მის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი.

მუხლი 4. დაწესებულებაში აღსაზრდელის მიღების ზოგადი პირობები

1. ბაგა-ბაღში მიიღებიან აღსაზრდელები, რომელთა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება დაწესებულებაში აღზრდა-განვითარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

2. ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

3. აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

ა) დაბადების მოწმობის ასლი – დამოწმებული ნოტარიულად;

ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

გ) აღსაზრდელის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება.

4. ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მიღების შემთხვევაში დაწესებულებასა და აღსაზრდელის მშობელს (კანონიერი წარმომადგენლის) შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას.

5. დაწესებულებაში ბავშვის მიღებაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და წერილობით უნდა ჩაბარდეს აღსაზრდელის მშობელს (კანონიერი წარმომადგენლს).

მუხლი 5. ბაგა-ბაღში საღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება

1. ბაგა-ბაღების გაერთიანებაში საღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება ხდება აღსაზრდელი ბავშვის ასაკის მიხედვით:

ა) უმცროსი ჯგუფი (ბაგა) 1,5-3 წლის ჩათვლით დაბა შუახევის სტრუქტურულ ერთეულში.

ბ)უფროსი საშუალო (შერეული) 3-4,5 წლის ჩათვლით დაბა შუახევის სტრუქტურულ ერთეულში

გ) უფროსი სასკოლო (შერეული) [illegible] 6 წლამდე

2. ამ მუხლის პირველ[illegible] ვრცელდება არ ვრცელდება გაერთიანების სხვა სტრუქტურულ ერთეულებზე [illegible] (დაბა შუახევის სტრუქტურული ერთეულისა)

ჯგუფების ასაკობრივი დაკომპლექტება მოხდება შერეული წესით, ჯგუფში არანაკლებ 7 აღსაზრდელისა.

3. ბაგა-ბაღების გაერთიანებაში სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია არა უმეტეს:

ა) უმცროსი ჯგუფი (ბაგა) – 25+1 აღსაზრდელი;

ბ) საშუალო ჯგუფი - 35+1 არსაზრდელი;

გ) უფროსი ჯგუფი – 35+1 აღსაზრდელი.

4. ჯგუფში 7 ბავშვზე ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში, მოსამსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება მოხდება დაბალი განაკვეთით.

5. ორ წლამდე ასაკის აღსაზრდელის მიღება შეიძლება მშობელთა განცხადების და დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის თანხმობით.

6. მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით დასაშვებია შერეული ჯგუფების გახსნა.

7. შეიძლება ერთ ჯგუფში მიღებული იქნას არაუმეტეს ორი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი.

8. დაწესებულება ბავშვის მრავალმხრივ განვითარების მიზნით (ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, შემეცნებითი, ესთეტიკური) ქმნის მუშაობის სპეციალურად ორგანიზებულ ფორმებს (მეცადინეობა) და პირობებს ბავშვის არარეგლამენტირებული მოქმედებისათვის (თამაში, კონსტრუქტირება, ხატვა და ა. შ.).

9. სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება შინაგანაწესით;

10. ბაგა-ბაღში განსაზღვრული დროით ყოფნისას, დაწესებულება ახორციელებს ბავშვის მოვლას, მეთვალყურეობას, იცავს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას, უზრუნველყოფს შინაგანაწესით დადგენილი სარეჟიმო მომენტების შესრულებას, სანიტარულ-ჰიგიენური და გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარებას, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად კვების ორგანიზაციას და ა.შ.;

11. დაწესებულება მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს როგორც ძირითად, ასევე სტანდარტზევით მომსახურეობის სახეებს ბავშვებისათვის, რაც ფორმდება ხელშეკრულებით, კანონმდებლობის ფარგლებში.

თავი III. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

მუხლი 6. შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მისი მუშაობის ორგანიზება

1. შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება შედგება ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების - ფილიალებისაგან.

2. შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფების (ფილიალების) მეშვეობით.

3. შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფები - ფილიალებია:

ა) დაბა შუახევის სტრუქტურული ერთეული;

ბ) მახალაკიძეების სტრუქტურული ერთეული;

გ) უჩამბის სტრუქტურული ერთეული

დ) ნიგაზეულის სტრუქტურული ერთეული;

ე) ჭვანის სტრუქტურული ერთეული.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალები შედგება ფილიალის ხემძღვანელისა და ფილიალის მოსამსახურეებისაგან.

5. ფილიალის საქმიანობ[illegible]ს მართავს ფილიალის ხემძღვანელი, ხოლო მის არყოფნის შემთხვევაში, თავისი [illegible]ების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) [illegible] ან სხვ[illegible]ეუძვლის არსებობისას ხელმძღვანელისათვის შრომითი

ურთიერთობის დროებით შეჩერებისა, მის მოვალეობას ტუახევის მუნიციპალიტეტის გაერთიანების დირექტორის დავალებით ასრულებს ფილიალის ერთ-ერთი მოსამსახურე ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დავალებით;

6. ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალები მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „საქართველოს შრომის კოდექსის" შესაბამისად ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

მუხლი 7. ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობა

1. ბაგა-ბაღების გაერთიანებას მართავს (ხელმძღვანელობს) დირექტორი, რომელსაც გააჩნია ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

3. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ტუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას დირექტორისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერების დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ გადაწვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 8. უფლება-მოვალეობანი

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორს უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად გაერთიანების ყველა მუშაკისათვის;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს შრომის და სხვა ხელშეკრულებები (გარიგებები), ხელი მოაწეროს ფინანსური სახსრების განკარგვასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

გ) ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობიდან გამომდინარე ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება;

დ) მუშაობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად ტუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლისის თანხმობით ამტკიცებს ბაგა-ბაღების გაერთიანების საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს, მენიუს და კვების ნორმებს;

ე) მოითხოვოს თანამშრომლებისაგან და მშობლებისგან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ვ) წარმოადგინოს ბაგა-ბაღების გაერთიანება მესამე პირთან ურთიერთობაში და იმოქმედოს საზოგადოების სახელით;

ზ) თანამშრომლებისაგან მიიღოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ;

თ) ტუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით დაამტკიცოს ბაგა-ბაღების გაერთიანების შინაგანაწესი. აგრეთვე ტუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით, მშობელთა მოთხოვნების გათვალისწინებით დაამტკიცოს სტანდარტს ზევითი დამატებითი მომსახურების ნუსხა და ღირებულება;

ი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგოს ბაგა-ბაღების გაერთიანების საკუთრებაში არსებული ქონება, თუ ქონების განკარგვა ხელს უწყობს ბაგა-ბაღების გაერთიანებას საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებასა და მიზნების (ამოცანების) განხორციელებას;

კ) არასაბიუჯეტო შემოს[illegible] არსებობის შემთხვევაში ტუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელან შეთანხმებით [illegible] შესაბამისად გამოიყენოს სახსრები სახელფასო დანამატებზე, პრემიებზე [illegible]

ვ) [illegible] სისათვის მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა აღმზრდელებთან (აღმზრდელებთან), მედპერსონალთან და ბავშვის მშობლებთან უშუალო კავშირში;

გ) პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას ბაგა-ბაღში არსებული მდგომარეობის თაობაზე;

დ) ბაგა-ბაღების გაერთიანების სახსრების ეფექტურად განკარგვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს შუახევის მუნიციპალიტეტის ორგანოებთან;

ე) დაიცვას საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები;

ვ) შექმნას ბავშვებისათვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები;

ზ) უზრუნველყოს ხარისხიანი კვება და შესაბამისი რეჟიმის დაცვა;

თ) მშობლის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ბაგა-ბაღების გაერთიანების წესდება და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჯაროა.

3. აღმზრდელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არ მიუღწევია საპენსიო ასაკისათვის, აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.

4. აღმზრდელის თანაშემწედ (ძიძა) შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არ მიუღწევია საპენსიო ასაკისათვის და აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

5. აღმზრდელს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საქმიანობაში;

ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

დ) მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება.

6. ბაგა-ბაღების გაერთიანების აღმზრდელი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა;

გ) საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;

დ) უზრუნველყოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობისათვის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ე) დაიცვას საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები.

7. მშობელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ და/ან მიიღოს მონაწილეობა მასში;

ბ) ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ინფორმაცია ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით;

გ) მოითხოვოს წესდების და ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საჯარო დოკუმენტების ასლები;

დ) მოითხოვოს მომზადდეს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაეყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებ[illegible] მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;

ე) მოითხოვოს ბ[illegible] უფ[illegible] დაცვა.

8. მშობელი ვალ[illegible]ულია:

ა) აატარებს ცვლილებას ბაგა-ბაღების გაერთიანების კოლექტივის შრომას და ითანამშრომლოს მასთან აღსაზრდელის ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები.

5. ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მუსიკის მასწავლებელი, დიეტ ექთანი, მზარეული, მნე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არ მიუღწევია საპენსიო ასაკისთვის და აქვს შესაბამისი განათლება და გამოცდილება.

მუხლი 9. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ფილიალის ხელმძღვანელობა

1. სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ფილიალს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ქვედანაყოფის - ფილიალის ხელმძღვანელი (მენეჯერი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის -ფილიალის ხელმძღვანელი;

ა) უზრუნველყოფს სტრუქტურულ ქვედანაყოფში საგანმანათლებლო-სააღმზრდელო საქმიანობას;

ბ) ქმნის ბავშვებისათვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობებს;

გ) უზრუნველყოს ხარისხიანი კვებას და შესაბამისი რეჟიმის დაცვას;

დ) აკონტროლებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მოსამსახურეების მიერ შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვას და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მიმართვას ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მიმართ;

ე) აწვდის ინფორმაციას ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის სტრუქტურულ ქვედანაყოფში საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის შესახებ.

ვ) ახორციელებს წინამდებარე წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

თავი IV. დაფინანსება, სახელმწიფო კონტროლი და საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა

მუხლი 10. ბაგა-ბაღების გაერთიანების დაფინანსების წყაროები

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

ა) დაწესებულების საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტით, მშობელთა შემოწირულობებით.

ბ) სპონსორებისაგან (სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, გრანტი, კერძო პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები) მიღებული თანხები, შემოწირულობანი, სხვა სახის ფინანსური დახმარება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

დ) გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით მშობელთა შენატანებისაგან შეიძლება განთავისუფლდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვები. აგრეთვე ბაგა ბაღში ტყუპი აღსაზრდელების შემთხვევაში მისი მშობელს მხოლოდ ერთის შენატანი.

მუხლი 11. ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობის კონტროლი

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ბაგა-ბაღების [illegible] ბების კონტროლის განმახორციელებელი ორგანო კანონმდებლობით [illegible] ფლებამოსილების ფარგლებში არის შუახევის

მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანებას მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს და მის ძირითად საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

მუხლი 12. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ბაგა-ბაღების გაერთიანებას მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით უფლებით დატვირთვა;

ბ) ისეთი გარიგებების დადება, რომელიც გულისხმობს ფინანსური ვალდებულებების აღებას;

გ) სხვა გადაწყვეტილებები ბაგა-ბაღის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 13. საბუღალტრო აწგარიშგება და კონტროლი

1. ბაგა-ბაღების გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

2. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს ბაგა-ბაღების გაერთიანების საფინანსო კონტროლი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ან დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით;

მუხლი 14. ბაგა-ბაღების გაერთიანების ქონება

დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, ბაგა-ბაღების გაერთიანების ქონებას წარმოადგენს მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემული შენობა-ნაგებობანი, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. ბაგა-ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ბაგა-ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბელი

ტარიელ ებრალიძე